



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ირანი-საუდის არაბეთი:  
ღიღი დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში

ზურაბ ბატიაშვილი

116

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

**ზურაბ გაბიაშვილი**

**ირანი-საუღის არაბეთი:  
დიდი ღაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში**

**116**

**2019**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2019 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-1004-6

ახლო აღმოსავლეთი კვლავ რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ რეგიონად. სამწუხაროდ, სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, იქ სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლა ნაკლებად არის მოსალოდნელი, ისედაც რთული მდგომარეობის გაუარესება კი ადვილად შესაძლებელია.

დღეს ახლო აღმოსავლეთში ერთმანეთს ორი მთავარი ბანაკი უპირისპირდება: ერთ ბანაკს პირობითად შეიძლება ვუნოდოთ „პროამერიკული“, რომელსაც ვაშინგტონი მფარველობს და რომლის ლიდერიც ადგილზე საუდის არაბეთის სამეფოა. ამ ბანაკში შედიან ძირითადად სუნიტური არაბული ქვეყნები – არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრეინი, ეგვიპტე, ქუვეითი, იორდანია და მაროკო.<sup>1</sup> მათ მოკავშირედ მოიაზრება ასევე ისრაელი, მაგრამ არაბულ ქვეყნებთან მისი პრობლემატური ურთიერთობების გამო, ეს მოკავშირეობა ოფიციალურ დონეზე ნაკლებად შესამჩნევია.

ახლო აღმოსავლეთის მეორე ბანაკი კი, ასევე პირობითად, „პრორუსულია“ და მისი ლიდერი ირანის ისლამური რესპუბლიკაა. ამ ბანაკში ძირითადად გაერთიანებული არიან შიიტური ქვეყნები და პროირანული დაჯგუფებები<sup>2</sup> – ერაყი, ასადის რეჟიმი სირიაში, „ჰეზბოლაჰი“ (არაბ. „ალაჰის პარტია“) ლიბანში, დაჯგუფება „ჰუსიტები“ იემენში და ა.შ.<sup>3</sup>

### **დაპირისპირების მიზეზები**

ორ ბანაკს შორის დაპირისპირებას დიდი ხნის ისტორია აქვს და იგი იწყება ჯერ კიდევ VII საუკუნიდან, როდესაც ისლამის მიმდევრები გაიყვნენ სუნიტებად და შიიტებად. დროთა განმავლობაში შიიტური ისლამი იქცა სპარსული ცივილიზაციისა და იდენტობის ნაწილად, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აქტიურად უპირისპირდებოდა სუნიტურ სამყაროს (ჯერ – არაბებს, მოგვიანებით კი – ოსმალებს).

დღეს მსოფლიოში მცხოვრები 1,8 მილიარდი მუსლიმიდან<sup>4</sup> დაახლოებით 90% სუნიტია, 10% კი – შიიტი.<sup>5</sup> თუმცა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მათ თანაფარდობაში ასეთი დიდი განსხვავება არაა.

სუნიტურ-შიიტურ და არაბულ-სპარსულ ქიშპობაში მნიშვნელოვანი მომენტი იყო 1979 წელი, როდესაც ირანში ისლამური რევოლუცია მოხდა, თავად ქვეყანას ოფიციალურად ეწოდა „ირანის ისლამური რესპუბლიკა“, ხოლო თეირანის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილად მსოფლიოში ისლამური რევოლუციის ექსპორტი იქცა,<sup>6</sup> რასაც ახლო აღმოსავლეთში არსებული რეჟიმების შეცვლა უნდა მოჰყოლოდა. ამის გამო ამ იდეას რეგიონის ბევრი

ქვეყნის მმართველი უმთავრეს საფრთხედ აღიქვამდა და დღესაც აღიქვამს. საუდის არაბეთი ამას იდეოლოგიურად უპირისპირებს პურიტანული სუნიტური ისლამის იდეას, რომელიც უფრო ხშირად „სალაფიზმის“ ან „ვაჰაბიზმის“ სახელითაა ცნობილი.

ირანმა განსაკუთრებით ბოლო წლებში შეძლო კარგად ორგანიზებული პროირანული საერთაშორისო ქსელის შექმნა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ ქსელს „წინააღმდეგობის ღერძსაც“ უწოდებენ და მისი მიზანი რეგიონში ირანის გავლენის გაზრდაა.<sup>7</sup>

თუმცა, არც საუდის არაბეთის გარშემო შემოკრებილი სუნიტური კოალიციაა უმოქმედოდ დარჩენილი, რადგან ოფიციალურ რიადს მიაჩნია, რომ თეირანი მას გეოპოლიტიკურ ალყაში აქცევს.

ორი ქვეყანა ერთმანეთის მიმართ უკიდურესი უნდობლობითაა განმსჭვალული. შედეგად ვიღებთ მზარდ დაპირისპირებას გამყოფ ხაზებზე მთელ რეგიონში, სადაც მხარეები ერთმანეთს ე.წ. Proxy-ების (ადგილზე საკუთარი მომხრეები) საშუალებით ბრძვიან.

## **გამყოფი ხაზები**

გამყოფი ხაზები გადის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უმეტესობაზე. მათ შორის დაპირისპირების არეალად განიხილება საკუთრივ ამ ორი ქვეყნის რეგიონებიც.

### **1. საკუთრივ ირანსა და საუდის არაბეთში**

თეირანში ეჭვობენ, რომ სწორედ საუდის არაბეთი და მის გარშემო შემოკრებილი კოალიცია ცდილობს მის წინააღმდეგ ირანის სამხრეთ-დასავლეთით აჰვაზის პროვინციაში მცხოვრები სუნიტი არაბებისა და მათი სეპარატისტული მოძრაობის ნაქეზებას.<sup>8</sup>

თავის მხრივ, რიადში მიაჩნიათ, რომ თეირანი ცდილობს არეულობების მოწყობას საუდის არაბეთის აღმოსავლეთ პროვინციებში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შიიტები შეადგენენ და სადაც მდებარეობს ნავთობის დიდი საბადოები.<sup>9</sup>

### **2. ლიბანში**

ლიბანი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ირანელებმა, ეყრდნობოდნენ რა იმ ფაქტს, რომ შიიტები შეადგენდნენ ამ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედს, დააარსეს ლიბანური შიიტური სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია „ჰეზბოლაჰი“. ირანმა ამ ორგანიზაციაში მილიარდობით აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა.<sup>10</sup> სამაგიეროდ, შედეგმაც არ დააყოვნა. „ჰეზბოლაჰმა“ 2008 წელს მოიპოვა უფლება ლიბანის პარლამენტს წარუდგინოს 11 მი-

ნისტრის კანდიდატურა. მინისტრების ეს რაოდენობა კი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ მან ვეტო დაადოს ლიბანის მთავრობის ნებისმიერ გადაწყვეტილებას.<sup>11</sup>

სწორედ „ჰეზბოლას“ მიენერება 2005 წელს საუდის მოკავშირე ლიბანის პრემიერ-მინისტრის რაფიქ ალ-ჰარირისა და სხვა გავლენიანი ლიბანელების მკვლელობები.

ყველაზე ნათელი მაგალითი იმისა, როგორ იყენებს თეირანი „ჰეზბოლას“ საკუთარი მიზნებისთვის, სირიაში მიმდინარე კონფლიქტია, სადაც ლიბანის მთავრობამ ოფიციალურად ნეიტრალიტეტი კი გამოაცხადა, მაგრამ „ჰეზბოლას“ მიუხედავად იმისა, რომ თავადაა ლიბანის მთავრობის ნაწილი, აქტიურადაა ჩართული სირიის სამოქალაქო ომში და იბრძვის ირანისა და ასადის რეჟიმის მხარდამხარ.<sup>12</sup>



### 3. ლაზას სექტორში

მიუხედავად იმისა, რომ ლაზას სექტორის 2-მილიონიანი მოსახლეობა თითქმის სრულად სუნიტია, ირანს წლების განმავლობაში ჰქონდა საგრძნობი გავლენა იქაურ ორგანიზაცია „ჰამასზე“, რომელიც ადგილზე აკონტროლებს ლაზას ტერიტორიას. მოგვიანებით „ჰამასი“ უფრო თურქულ-არაბული გავლენის ქვეშ მოექცა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ჰამასის“ პოზიციის ცვლილებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეგვიპტემ, რომელიც შედის რა საუდის არაბეთის ლიდერობით შექმნილ სუნიტურ კოალიციაში, აკონტროლებს ლაზას სექტორის გარესამყაროსთან დამაკავშირებელ ერთადერთ გასასვლელს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მისი დაბლოკვის მუქარით „ჰამასი“ საკუთარ პირობებზე დაიყლიოს.<sup>13</sup>

### 4. ბაჰრეინში

ბაჰრეინი სპარსეთის ყურის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სუნიტური უმცირესობა მართავს შიიტურ უმრავლესობას. თეირანს პრეტენზია აქვს, რომ ეს კუნძული ისტორიულად მას ეკუთვნოდა და ამიტომ ბაჰრეინს ხშირად ირანის მე-14 პროვინციადაც მოიხსენიებს.<sup>14</sup>

„არაბული გაზაფხულის“ პირველ ეტაპზე, 2011 წლის მარტში, ბაჰრეინში შიიტების მასობრივი გამოსვლებისა და არეულობების ფონზე შეიქმნა მმართველი სუნიტური ალ-ხალიფას დინასტიის ხელისუფლებიდან ჩამოშორების საფრთხე. იგი მხოლოდ მას შემდეგ აღმოიფხვრა, რაც ბაჰრეინის ამირის მოწვევით ამ ქვეყანაში შევიდა საუდის არაბეთის სამხედრო შენაერთები. საუდის არაბეთმა გადამჭრელი ზომების მიღებით ყველას აჩვენა, რომ იგი არ შეეგუებოდა ბაჰრეინის ირანის გავლენის ქვეშ მოქცევას.<sup>15</sup>

### 5. ერაყში

ეთნოკონფესიურად ქრელ 37-მილიონიან ერაყში მოსახლეობის 60-65% შიიტები არიან. თუმცა, ქვეყანას ათწლეულების განმავლობაში სუნიტი დიქტატორი სადამ ჰუსეინი მართავდა. სიტუაცია შიიტების სასარგებლოდ შეიცვალა მხოლოდ 2003 წელს, სადამის ჩამოგდების შემდეგ, როდესაც ერაყში ჩამოყალიბდა მთავრობა შიიტური დომინირებით, რომელშიც ძლიერია პროირანული განწყობები.

აღსანიშნავია, რომ ამას მოჰყვა სისხლიანი სექტარიანიული დაპირისპირება სუნიტებსა და შიიტებს შორის, რისი უარყოფითი

შედეგები დღემდე არ აღმოფხვრილა. ერაყის სუნიტური მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს გაუჩნდა განცდა, რომ ახლა უკვე შიიტები ჩაგრავდნენ მათ და ამის გამო არაერთმა სუნიტურმა ტომმა ქვეყანაში „ალ-კაიდასა“ და „დაეშის“ მოძლიერებას შეუწყო ხელი.<sup>16</sup>

ირანს შიიტური თემის გარდა, ტრადიციულად მნიშვნელოვანი გავლენის მექანიზმები აქვს ერაყის ქურთისტანზეც.<sup>17</sup>

## **6. იემენში**

26-მილიონიან იემენში მოსახლეობის დაახლოებით 65% სუნიტია და ისინი ქვეყნის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილებში ცხოვრობენ. დანარჩენი 35% შიიზმის ერთ-ერთი განშტოების – ზაიდიზმის – მიმდევრები არიან და ქვეყნის ჩრდილოეთში ცხოვრობენ.<sup>18</sup>

როგორც მოსალოდნელიც იყო, აქ ირანმა მხარი აჯანყებული შიიტების სამხედრო ნაწილებს დაუჭირა, რომლებიც გაერთიანებული არიან „ჰუსიტურ“ დაჯგუფებაში, ხოლო საუდის არაბეთმა – სუნიტებს. შედეგად, 2015 წელს დაწყებულ და დღემდე მიმდინარე სამოქალაქო ომსა და შიმშილს იემენში დაახლოებით 170 000 ადამიანის სიცოცხლე შეენირა.<sup>19</sup> აქედან დაახლოებით ნახევარი – 85 ათასი ბავშვია, რომლებიც ომის შედეგად გამეფებულ შიმშილს ემსხვერპლნენ.<sup>20</sup>

## **7. სპარსეთის ყურის კუნძულებზე**

სპარსეთის ყურის 3 კუნძულიდან – აბუ მუსა, დიდი ტუნბი და პატარა ტუნბი – მხოლოდ პირველია დასახლებული (სულ რაღაც 1000 მაცხოვრებლით). მაგრამ ამ კუნძულებს განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ჰორმუზის სრუტის სიახლოვეს მდებარეობის გამო. თანაც აქაურ ღრმა წყლებში ნავთობის დიდი მარაგებია.

ეს კუნძულები ბრიტანელების გასვლის შემდეგ ირანმა დაიკავა. თუმცა, მასზე პრეტენზიას დღემდე ასევე აცხადებს საუდის არაბეთის უმთავრესი მოკავშირე კოალიციაში – არაბთა გაერთიანებული საამიროები.<sup>21</sup>

## **8. კატარში**

მართალია, კატარი 2015-2016 წლებში საუდის არაბეთის მიერ იემენში ორგანიზებულ სამხედრო კამპანიაშიც მონაწილეობდა,<sup>22</sup> მაგრამ 2017 წლის ივნისამდე ზოგადად მაინც განონასწორებულ პოლიტიკას ატარებდა ორივე მხარის მიმართ და ცდილობდა არ გამოეწვია ანტაგონისტური განწყობები.<sup>23</sup>



სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა 2017 წლის ზაფხულში, როდესაც საუდურმა კოალიციამ კატარი ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებასა და „ალ-ჯაზირას“ პროპაგანდისტული მიზნებით გამოყენებაში დაადანაშაულა. საუდის არაბეთმა და მისმა მოკავშირეებმა დიპლომატიური ურთიერთობა განწყვიტეს დოჰასთან და სრულმასშტაბიანი ემბარგო გამოუცხადეს მას.<sup>24</sup>

ამ ფონზე დოჰას ბუნებრივ მოკავშირედ თეირანი იქცა, რომელმაც ყველა სახის თანადგომა შესთავაზა პატარა მეზობელს.<sup>25</sup> აღსანიშნავია, რომ ასევე მოიქცა ანკარაც, რითაც დისტანცირება მოახდინა საუდური კოალიციისგან.

## 9. სირიაში

სირია უკვე დიდი ხანია იქცა გარეშე ძალების დაპირისპირების მთავარ სცენად ახლო აღმოსავლეთში.<sup>26</sup> ამ კონფლიქტში აქტიურადაა ჩართული ირანი და პროირანული ძალები („ჰეზბოლა“ და სხვა შიიტური სამხედრო დაჯგუფებები), რომლებიც ასადის რეჟიმის მთავარი მოკავშირეები არიან სახმელეთო ბრძოლაში.<sup>27</sup> მათ საჰაერო მხარდაჭერას 2015 წლის შემოდგომის შემდეგ რუსეთი ახორციელებს. ამ ერთობლივი მხარდაჭერის შედეგად რუსეთმა და ირანმა შეძლეს სიტუაციის შემობრუნება და ასადის რეჟიმი დამხობას გადაარჩინეს.

საუდის არაბეთის როლი სირიაში გაცილებით შეზღუდულია. თუ კონფლიქტის დაწყებისას იგი უფრო აქტიური იყო, ამ ეტაპზე უკვე აღარ ცდილობს ასადის რეჟიმის მოკლე ხანში დამხობას და შეიარაღებული ოპოზიციის მხარდაჭერაც შენიღბული აქვს. ამ მომენტისთვის იგი რუსეთის, აშშ-ისა და ისრაელის საშუალებით ცდილობს ირანული გავლენის შემცირებას სირიაში.<sup>28</sup>

## 10. სხვა წერტილებში

ირანი და საუდის არაბეთი ერთმანეთთან დაპირისპირებული არიან ახლო აღმოსავლეთის გარეთაც – პაკისტანში, ავღანეთში, კავკასიაში, შუა აზიასა და აფრიკის კონტინენტზეც კი, სადაც ისინი, როგორც წესი, ერთმანეთთან დაპირისპირებაში მყოფ სხვადასხვა ადგილობრივ ძალებს უჭერენ მხარს.<sup>29</sup>

არსებობს ინფორმაცია, რომ ამ დაპირისპირების გარკვეული ნიშნები ჩანს საქართველოშიც. კერძოდ, ერთ-ერთ ასეთი დაპირისპირების კერად სახელდება ფონიჭალა, სადაც ორ თემს (სუნიტი „ვაჰაბიტებსა“ და შიიტებს) შორის წინააღმდეგობას 2015 წლის 28 დეკემბერს მსხვერპლიც მოჰყვა.<sup>30</sup>

## მხარეთა ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი

რამდენადაც ირანი და საუდის არაბეთი ჩართული არიან გრძელვადიან დაპირისპირებაში ვრცელ გეოგრაფიულ არეალზე, ორივე მხარეს სჭირდება სერიოზული ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობები საკუთარი ინტერესების დასაცავად. ეს შესაძლებლობები კი ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულია.

ირანისა და საუდის არაბეთის ფინანსური და სამხედრო შესაძლებლობები

	ირანი	საუდის არაბეთი
მოსახლეობა	82 მლნ.	28,6 მლნ.
დომინანტი რელიგიური მიმდინარეობა	შიიტი მუსლიმები (90-95%)	სუნიტი მუსლიმები (85-90%)
ბიუჯეტი (ხარჯვითი ნაწილი)	86,3 მლრდ. აშშ დოლარი	227,8 მლრდ. აშშ დოლარი
სავალუტო და ოქროს რეზერვები	133,7 მლრდ. აშშ დოლარი	535,8 მლრდ. აშშ დოლარი <sup>31</sup>
ნავთობის მარაგი	266,5 მლრდ. ბარელი	158,4 მლრდ. ბარელი <sup>32</sup>
ბუნებრივი აირის მარაგი	34 ტრილიონი კუბ. მ.	8,3 ტრილიონი კუბ. მ. <sup>33</sup>
მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი)	427,7 მლრდ. აშშ დოლარი	678,5 მლრდ. აშშ დოლარი
სამხედრო ბიუჯეტი	14 მლრდ. აშშ დოლარი	63,7 მლრდ. აშშ დოლარი <sup>34</sup>
სამხედრო პერსონალი (აქტიური)	563 000	251 000
საბრძოლო ტანკები	2 500	1 100
სარაკეტო არტილერია	1 400	120
საარტილერიო დანადგარები	6 800	760
საფრენი აპარატები	850 (მოძველებული)	855 (თანამედროვე) <sup>35</sup>
საბატრულო გემი	194	11 <sup>36</sup>
წყალქვეშა ნავი	40	0
ფრეგატი	6	7 <sup>37</sup>

ასევე განსხვავებულია მხარეთა შესაძლებლობები მოახდინონ ბუნებრივი რესურსების რეალიზაცია და შეძლონ თანამედროვე შეიარაღების შექმნა. ამერიკული სანქციების გამო ირანი ვერ ახერხებს საკუთარი ბუნებრივი რესურსების თავისუფალ რეა-

ლიზაციას მსოფლიო ბაზარზე და შეზღუდული აქვს თანამედროვე იარაღის შექმნის შესაძლებლობა. ეს მაშინ, როცა საუდის არაბეთი ყოველწლიურად სოლიდურ თანხებს ხარჯავს ულტრათანამედროვე შეიარაღების (ძირითადად ამერიკული) შექმნაზე და ამ მხრივ რიადს აქვს უპირატესობა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეირანსაც აქვს საკუთარი უპირატესობები კარგად განვითარებული სამხედრო ფლოტის, სარაკეტო სისტემებისა და ბრძოლისუნარიანი სამხედრო მანქანის სახით.

2018 წელს მსოფლიო სამხედრო სიძლიერის რეიტინგში ირანი მე-13, ხოლო საუდის არაბეთი 26-ე ადგილზე იყო.<sup>38</sup> თუმცა, პირდაპირი კონფრონტაციის შემთხვევაში რიადს არცთუ უსაფუძვლო იმედი აქვს, რომ შეერთებული შტატები მას სამხედრო სახის დახმარებას გაუწევს.

## დასკვნები

- ისტორიული და თანამედროვე კონტექსტიდან გამომდინარე, უახლოეს ხანში ნაკლებად მოსალოდნელია ირან-საუდის არაბეთის დაპირისპირების აღმოფხვრა;
- რამდენადაც მხარეები სუნიტური და შიიტური სამყაროს ლიდერობაზე აცხადებენ პრეტენზიებს, ორ ქვეყანას შორის დაპირისპირება გარკვეულწილად სექტარიანულ ხასიათსაც ატარებს, რაც უარყოფითად აისახება ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ისედაც ფეთქებადსაშიშ სიტუაციაზე;
- მართალია, მხარეებს ყოფნით გონიერება და თავს იკავებენ ერთმანეთთან პირდაპირი დაპირისპირებისგან, მაგრამ შექმნილი სიტუაცია შეიცავს საფრთხეს, რომ პატარა რეგიონი ინციდენტი ღია კონფრონტაციაში გადაიზარდოს (ამ დონის მეორე საფრთხე ისრაელ-ირანის დაპირისპირებაა), რაც რეგიონისთვის გაუთვალისწინებელი შედეგებით შეიძლება დასრულდეს;

ირან-საუდის არაბეთის დაპირისპირება უარყოფითად აისახება საქართველოზეც რამდენიმე მიზეზის გამო:

- ა) ჩვენს ქვეყანაში მუსლიმთა ერთი ნაწილი სუნიტია, მეორე ნაწილი კი – შიიტი. ამიტომ ნებისმიერი სახის სექტარიანული დაპირისპირება ჩვენს სამეზობლოში საფრთხის შემცველია საქართველოსთვის;
- ბ) ირან-საუდის არაბეთის დაპირისპირება რეგიონში წარმოქმნის უდიდეს საფრთხეს და გამოწვევებს როგორც ახლო აღ-

მოსავლეთში, ისე მის მეზობელ კავკასიაში, რისი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითიც სირიის კონფლიქტია. სირიის ომმა ადგილობრივების გარდა შეიწირა არაერთი ჩვენი მოქალაქის სიცოცხლე, ასევე გამოიწვია გარკვეული ჯგუფების რადიკალიზაცია საქართველოში, ჩატაევისა და მისი რაზმის შემოსვლა, მასთან დაკავშირებული ინციდენტი და ა.შ.;

- გ) დღეს ახლო აღმოსავლეთში დაახლოებით ნახევარი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. დიდი ომის შემთხვევაში ამ მოსახლეობის 10%-იც რომ იქცეს ლტოლვილად (სირიის შემთხვევაში ლტოლვილად იქცა მისი მოსახლეობის დაახლოებით 25 %<sup>39</sup>), ეს 50 მილიონი ადამიანია. ომს გამოქცეულმა ადამიანების ნაწილმა შესაძლოა გეოგრაფიულად ახლოს მდებარე კავკასიაში არჩიონ თავის შეფარება, რისთვისაც ჩვენ მომზადებულები არ ვართ. ამას გარდა, არსებობს ლტოლვილებთან ერთად ტერორისტების შემოდინების შესაძლო საფრთხეც, რასთან გამკლავებაც ჩვენი ზომის ქვეყნისთვის უკიდურესად რთული იქნება.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. Ebtesam Al-Ketbi, “United Arab Emirates”, [www.ecfr.eu/mena/battle\\_lines/uae](http://www.ecfr.eu/mena/battle_lines/uae)
2. ზურაბ ბატიაშვილი, „მხოლოდ რუსეთს შეუძლია ჩამოაგდოს საკუთარი თვითმფრინავი და ამაში სხვა დაადანაშაულოს“, [www.interpressnews.ge/ka/article/513119-zurab-batiashvili-mxolod-rusets-sheuzlia-chamoagdos-sakutari-tvitm-prinavi-da-amashi-sxva-daadanashaulos/](http://www.interpressnews.ge/ka/article/513119-zurab-batiashvili-mxolod-rusets-sheuzlia-chamoagdos-sakutari-tvitm-prinavi-da-amashi-sxva-daadanashaulos/)
3. Brian Katz, “Axis Rising: Iran’s Evolving Regional Strategy and Non-State Partnerships in the Middle East”, [www.csis.org/analysis/axis-rising-irans-evolving-regional-strategy-and-non-state-partnerships-middle-east](http://www.csis.org/analysis/axis-rising-irans-evolving-regional-strategy-and-non-state-partnerships-middle-east)
4. Lipka, Michael; Hackett, Conrad (6 April 2017). «Why Muslims are the world’s fastest-growing religious group», [www.pewresearch.org/fact-tank/2017/04/06/why-muslims-are-the-worlds-fastest-growing-religious-group/](http://www.pewresearch.org/fact-tank/2017/04/06/why-muslims-are-the-worlds-fastest-growing-religious-group/)
5. “Mapping the Global Muslim Population,” Pew Research Center, 2009, [www.pewforum.org/2009/10/07/mapping-the-global-muslim-population](http://www.pewforum.org/2009/10/07/mapping-the-global-muslim-population)
6. Avi Melamed, “Inside the Middle East”, New York, 2016, pp. 89-90.
7. Avi Melamed, “Inside the Middle East”, New York, 2016, pp. 89-90.
8. Goulka, Jeremiah; Hansell, Lydia; Wilke, Elizabeth; Larson, Judith (2009). «The Mujahedin-e Khalq in Iraq: a policy conundrum», [www.rand.org/content/dam/rand/pubs/monographs/2009/RAND\\_MG871.pdf](http://www.rand.org/content/dam/rand/pubs/monographs/2009/RAND_MG871.pdf)
9. [www.worldview.stratfor.com/article/reform-promises-more-same-saudi-arabias-shiites](http://www.worldview.stratfor.com/article/reform-promises-more-same-saudi-arabias-shiites)
10. Al Arabiya, 2012, [www.alarabiya.net/articles/2012/08/28/234698.html](http://www.alarabiya.net/articles/2012/08/28/234698.html)
11. Avi Melamed, “Inside the Middle East”, New York, 2016, pp. 90-91.
12. Avi Melamed, “Inside the Middle East”, New York, 2016, pp. 92-93.
13. Avi Melamed, “Inside the Middle East”, New York, 2016, pp. 99-101.
14. Fred Lawson, “Bahrain: The Modernization of Autocracy”, pp. 124-125.
15. Avi Melamed, “Inside the Middle East”, New York, 2016, p. 98.
16. Avi Melamed, “Inside the Middle East”, New York, 2016, pp. 101-102.
17. Julien Barnes-Dacey, Ellie Geranmayeh, “Iraq”, [www.ecfr.eu/mena/battle\\_lines/iraq#menuarea](http://www.ecfr.eu/mena/battle_lines/iraq#menuarea)
18. The World Fact Book, Central Intelligence Agency, 2016, [www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/ym.html](http://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/ym.html)
19. “Civilian death toll in Yemen mounting despite US assurances”, [www.apnews.com/24ee4b33373a41d389e2599c5aa7bbfa](http://www.apnews.com/24ee4b33373a41d389e2599c5aa7bbfa)
20. «Save the Children says 85,000 kids may have died of hunger in Yemen», [www.usatoday.com/story/news/world/2018/11/21/yemen-children-hunger/2076683002/](http://www.usatoday.com/story/news/world/2018/11/21/yemen-children-hunger/2076683002/)
21. Avi Melamed, “Inside the Middle East”, New York, 2016, pp. 109-110.
22. “Qatar Recalls Envoy To Iran After Attacks On Saudi Missions: State News”, Reuters, 6 January 2016, [www.reuters.com/article/us-saudi-iran-qatar/qatar-recalls-envoy-to-iran-after-attacks-on-saudi-missions-state-news-idUSKBN0UK23Z20160106](http://www.reuters.com/article/us-saudi-iran-qatar/qatar-recalls-envoy-to-iran-after-attacks-on-saudi-missions-state-news-idUSKBN0UK23Z20160106).

23. "In Davos, Gulf Arabs Slam An Absent Iran", 24 January 2018, Reuters, [www.af.reuters.com/article/worldNews/idAFKBN1FD2YV](http://www.af.reuters.com/article/worldNews/idAFKBN1FD2YV).
24. "Qatar-Gulf crisis: Your questions answered", [www.aljazeera.com/indepth/features/2017/06/qatar-gulf-crisis-questions-answered-170606103033599.html](http://www.aljazeera.com/indepth/features/2017/06/qatar-gulf-crisis-questions-answered-170606103033599.html)
25. Kenneth Katzman, "Qatar: Governance, Security, and U.S. Policy", Congressional Research Service, 1 March 2018, [www.fas.org/sgp/crs/mideast/R44533.pdf](http://www.fas.org/sgp/crs/mideast/R44533.pdf).
26. Julien Barnes-Dacey, Ellie Geranmayeh, Hugh Lovatt, "Syria", [www.ecfr.eu/mena/battle\\_lines/syria#menuarea](http://www.ecfr.eu/mena/battle_lines/syria#menuarea)
27. "Iran boosts support to Syria", [www.telegraph.co.uk/news/worldnews/middleeast/iran/10654144/Iran-boosts-support-to-Syria.html](http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/middleeast/iran/10654144/Iran-boosts-support-to-Syria.html)
28. Julien Barnes-Dacey, Ellie Geranmayeh, Hugh Lovatt, "Syria", [www.ecfr.eu/mena/battle\\_lines/syria#menuarea](http://www.ecfr.eu/mena/battle_lines/syria#menuarea)
29. Tomi Oladipo, "Saudi Arabia and Iran fight for Africa's loyalty", [www.bbc.com/news/world-africa-35252039](http://www.bbc.com/news/world-africa-35252039)
30. [www.dfwatch.net/მკვლელობა-ორად-გახლეჩილ-40097](http://www.dfwatch.net/მკვლელობა-ორად-გახლეჩილ-40097)
31. [www.indexmundi.com/factbook/compare/iran.saudi-arabia](http://www.indexmundi.com/factbook/compare/iran.saudi-arabia)
32. [www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/rankorder/2244rank.html](http://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/rankorder/2244rank.html)
33. [www.opec.org/opec\\_web/static\\_files\\_project/media/downloads/publications/ASB2015.pdf](http://www.opec.org/opec_web/static_files_project/media/downloads/publications/ASB2015.pdf)
34. [www.indexmundi.com/factbook/compare/iran.saudi-arabia](http://www.indexmundi.com/factbook/compare/iran.saudi-arabia)
35. [www.armedforces.eu/compare/country\\_Iran\\_vs\\_Saudi\\_Arabia](http://www.armedforces.eu/compare/country_Iran_vs_Saudi_Arabia)
36. Jonathan Marcus, "Why Saudi Arabia and Iran are bitter rivals", [www.bbc.com/news/world-middle-east-42008809](http://www.bbc.com/news/world-middle-east-42008809)
37. [www.armedforces.eu/compare/country\\_Iran\\_vs\\_Saudi\\_Arabia](http://www.armedforces.eu/compare/country_Iran_vs_Saudi_Arabia)
38. [www.globalfirepower.com/countries-listing.asp](http://www.globalfirepower.com/countries-listing.asp)
39. [www.unocha.org/syria](http://www.unocha.org/syria)